ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიო ჩემპიონატი მკლავჭიდში

# ნამდვილი ტრიუმფი!


ვ. სამხარაძე


ლ. სალლიანი


ჯ. მერაბიშვილი


კ. თოდაძე


დ. ქელიძე

**ქალ[illegible]ერტალი (შვეცია) სექტემბრის პირველი დეკადის მიწურულს ჩვენი პლანეტის უძლიერეს მკლავჭიდელთა თავშეყრის ცენტრად იქცა. 40 ქვეყნის წარმომადგენლებმა — მემარცხენეებმა 6 და მემარჯვენეებმა 12 წონით კატეგორიაში გაითამაშეს მსოფლიოს XV ჩემპიონატი. საქართველოს წარგზავნილებმა კვლავ ასახელეს ქვეყანა — მემარცხენეებში მოპოვებულია ოქროს 2 და ბრინჯაოს 2 მედალი, მემარჯვენეებში კი 7 „ოქრო" და 1 „ვერცხლი". გუნდურ პირველობაშიც ჩვენები ავიდნენ საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე.**

მივყვეთ წონების მიხედვით. 60 კგ-ში მეტოქეებს გამარჯვების ყოველგვარი შანსი გადაუწურა გია ხარიძემ. იგი უძლიერესი იყო, როგორც მემარცხენეებში ისე მემარჯვენეებში — მოიგო ოქროს 2 მედალი. 65 კგ-ში ასევე ბრწყინვალე იყო თამაზ ჩუტკერაშვილი. ფინალში მან სძლია მსოფლიოს ჩემპიონს იგორ გრეშნიკოვს (რუსეთი). 70 კგ-ში ვეფხია სამხარაძეს ვერც ერთმა გამოცდილმა ათლეტმა ვერ გაუწია წინააღმდეგობა და ოქროს მედალს დაეუფლა. ამასთან, თითქმის უვარჯიშებელი მარცხენით „ვერცხლიც" დაიმსახურა. 76 კგ. წონაში ლერი სალლიანს ბედმა უმტყუნა, ვარჯიშზე ორი თითი იღრძო და ფინალში დამარცხდა შვედ ათლეტთან. 80 კგ-ში კიჩიმი მერაბიშვილი ბოლოს და ბოლოს გახდა მსოფლიო ჩემპიონი. მან ყველა მეტოქე დაჯაბნა, ორჯერ მათ შორის, ფინალში დაამარცხა მსოფლიო ჩემპიონი კაზბეკ ზალიევი (რუსეთი). 85 კგ. წონაში უძლიერესი იყო სლოვაკი იონ მერგანუსი. 90 კგ-ში, როგორც მარჯვენა ისე მარცხენა ხელით ჩემპიონობა ხვდა კობა თოდაძეს. კობამ მყისეულად მოუგო ამერიკელ და კანადელ მკლავჭიდელებს. 110 კგ-ში დათო ქელიძე მეტოქეებზე ერთი თავით მაღლა იდგა და ღირსეულად მოიპოვა ჩემპიონობა. +110 კგ-ში ამერიკელთა ნაკრების ღირსებას იცავდა ლეგენდარული კლივ დინი, რომელიც 250 კგ-ს იწონის. ამ ათლეტს თვით ბრზენკი 8-ჯერ ყავს დამარცხებული. ჩემპიონატის წინ ალასკაზე გამართულ შეჯიბრებაში დინი პირველი იყო, ბრზენკი — მეორე. ზაურ ცხადაძემ სასწაული მოახდინა, ორჯერ ბრწყინვალე ტექნიკით დაამარცხა დინი და მსოფლიო ჩემპიონობა მეოთხედ იზეიმა. ეს იყო ჩემპიონატის სენსაცია, რადგან დინი მსოფლიოში დღეს ყველაზე ღონიერ ადამიანად ითვლება.


ზაურ ცხადაძე

მკლავჭიდის ფედერაცია დიდ მადლობას უხდის გენერალურ სპონსორს ავთანდილ საყვარელიძეს, ფირმა „ჯორჯიან ტრანზოილს", საქართველოს მთავრობას, სპორტის დეპარტამენტს და ავიაკომპანია „ორბს" დახმარებისთვის.

**ვახტანგ მუსელიანი,**
**საქართველოს მკლავჭიდის ფედერაციის პრეზიდენტი, ნაკრების ხელმძღვანელი, საქართველოს პარლამენტის წევრი.**

23-30 სექტემბერი 1994 წ. ● №32 (10900)
ფასი 200 000 კუპონი, ან 200 რუბლი.

## გორელ მოკრივეს — „ბრინჯაო"

**სტამბულში, დამთავრდა იუნიორ მოკრივეთა მსოფლიო პირველობის ორთაბრძოლები. გორელმა მოკრივემ ილია ტლაშაძემ (71 კგ) ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.**

## FIDE GENS UNA SUMUS

## ცნობები ტილბურგიდან

ჭადრაკი. მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მატჩ-ტურნირი. IV ტური. გალიამოვა (უკრაინა) — ჟ. პოლგარი (უნგრეთი) 0,5:0,5, მარიჩი (იუგოსლავია) — პენგი (ჩინეთი) 0,5:0,5, ფოიშორი (რუმინეთი) — იოსელიანი 0:1, კრამლინგი (შვეცია) — არახამია 1:0, V ტური. იოსელიანი — გალიამოვა 1:0, პოლგარი — პენგი 0,5:0,5, ფოიშორი — არახამია 1:0, ჩიბურდანიძე — კრამლინგი 1:0. V1 ტური. არახამია — გალიამოვა 0:1, იოსელიანი — პენგი 0,5:0,5, პოლგარი — მარიჩი 1:0, ფოიშორი — ჩიბურდანიძე 0:1. VII ტური. იოსელიანი — მარიჩი 0,5: 0,5, არახამია — პენგი 0,5:0,5, ჩიბურდანიძე — გალიამოვა 0:1, კრამლინგი — ფოიშორი 0,5: 0,5. VIII ტური. იოსელიანი — პოლგარი 0,5:0,5, არახამია — მარიჩი 0,5:0,5, ჩიბურდანიძე — პენგი 0,5:0,5, კრამლინგი — გალიამოვა 0:1. IX ტური. არახამია — პოლგარი 0,5:0,5, ჩიბურდანიძე — მარიჩი 1:0, კრამლინგი — პენგი 1:0, ფოიშორი — გალიამოვა 0,5:0,5.

მეორე წრის I ტური. პენგი — ფოიშორი 0,5:0,5, მარიჩი — კრამლინგი 1:0, ჩიბურდანიძე — პოლგარი 1:0, იოსელიანი — არახამია 0:1.

ქულები: პოლგარი, ჩიბურდანიძე — 5,5-5,5 ქ. (9-დან), იოსელიანი, მარიჩი — 5-5; (9), გალიამოვა, პენგი 4,5-4,5 შესაბამისად (8) და (9), კრამლინგი, არახამია — 3-3 (9); ფოიშორი — 3 (9).

## მოკლედ...

საქართველოს სპორტის დეპარტამენტში გამართულ საგანგებო თათბირზე იმსჯელეს იმის შესახებ, თუ როგორ სრულდება სახელმწიფო მეთაურის ბრძანებულება „სპორტის სფეროში გარდამავალ ეტაპზე სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ".

დღეს გაიმართება სპორტის დეპარტამენტის კოლეგია. დღის წესრიგშის აგრეთვე 17 სექტემბერს ჩატარებული საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის III ყრილობის საკითხი.

## ფედერაციას კვლავ ნ. ახალკაცი უხელმძღვანელებს

განვლილ შაბათს თბილისის ბ. პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის III ყრილობა, რომელმაც დაძაბულად, მწვავე პაექრობაში ჩაიარა. ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით (129 — მომხრე, 1 — წინააღმდეგი, 12-მა თავი შეიკავა) სფფ-ს პრეზიდენტად 4 წლის ვადით კვლავ არჩეულია ნოდარ ახალკაცი.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მისამართზე უეფადან მოვიდა ფაქსი.

**უეფა, 19 სექტემბერი, 1994 წ.**

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ბატონ ნოდარ ახალკაცს.**

**პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო!**

**დიდი კმაყოფილებით მივილე ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მესამე ყრილობაზე თქვენ კვლავ არჩეული ხართ პრეზიდენტად ოთხი წლის ვადით. ამასთან დაკავშირებით მიიღეთ ჩემი მილოცვები და საუკეთესო სურვილები სამომავლოდ, თქვენი შესაძლებლობების ადამიანი უთუოდ წარმატებებისკენ წაიყვანს ფედერაციას. იმედი მაქვს ჩვენი შემდგომი თანამშრომლობის გაგრძელებაზე.**

**გთხოვთ, აგრეთვე, გადასცეთ საუკეთესო სურვილები ბატონ ანტონ ონიანს — თქვენი ფედერაციის საექსპერტო კომიტეტის თავმჯდომარედ არჩევის გამო.**

ერიხ ეპლე,

**უეფას აღმოსავლეთ ევროპის დახმარების ბიუროს გენერალური მენეჯერი.**

* * *

სფფ-ს ყრილობის ირგვლივ დღეს დიდი მითქმა-მოთქმაა, დუღს ემოციები. თუ რამდენად სამართლიანია დაპირისპირებულთა ურთიერთპრეტენზიები, ამას დინჯი განსჯა უნდა. გავერკვეთ, მოვუსმინოთ ერთმანეთს, ასე აჯობებს. ქართული ფეხბურთის ინტერესები და მისი ხვალინდელი დღე ყველას დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს. აჩქარებამ შეიძლება ბედად გადარჩენილი ეროვნული ფეხბურთის დასამარებამდე მიგვიყვანოს. სამართლიანობამ უნდა იზეიმოს. გუშინდელ სესიაზე ამ თემას პარლამენტართა მაღალი ყურადღებაც მიეპყრო.

## კახი კახიაშვილის მსოფლიო რეკორდი



სალონიკში (საბერძნეთი) ძალოსანთა მსოფლიოს თასის გათამაშებაზე წარმატებით იასპარეზა ბარსელონის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა, ჩვენ[illegible] თანამემამულემ კახი კახიაშ[illegible]ლმა. ატაცში მან 185,5 კილოგრამი დაძლია და ბ[illegible]ლგარელ ივან ჩაკაროვის მს[illegible]იო რეკორდს 0,5 კილოგრ[illegible]ით გადააჭარბა.

იმავე ატაცში **მსოფლიო რეკორდი დაამყარა ზემძიმე წონის ძალოსანმა ალექსანდრე კურლოვიჩმა (ბელორუსია) — 202,5 კგ. ძველი მსოფლიო რეკორდი (201 კგ) [illegible] ანდრეი ჩერბერკინს [illegible] ორჭიდის ჯამში [illegible] გაიმეორა მსოფლიო [illegible] — 450 კგ.**

* * *

**სურათზე: კ. კახიაშვილი**

# თუ ბობი ფიშერი ალაპარაკდა...

**ბობი ფიშერი ჟურნალისტებს იშვიათად ხვდება, მაგრამ, როცა პრეს-კონფერენციაზე ან ინტერვიუზე თანხმდება, ყველაფერს პირდაპირ ლაპარაკობს, მიკიბ-მოკიბვის გარეშე. ამიტომაც არის, რომ უამრავი მტერი ჰყავს.**

**ამას წინათ, ამერიკულმა ჟურნალმა „ჩეს ლაიფმა", რომელიც ბობის სასტიკად სძულს, გამოაქვეყნა ნაწყვეტები მისი პრესკონფერენციებიდან ყოველგვარი კომენტარის გარეშე (რათა დიდოსტატს მისთვის არ ეჩივლა).**

— კარპოვმა, კასპაროვმა და კორჩნოიმ მთლიანად დასცეს ჭადრაკი თავიანთი ამორალური, არაეთიკური, „მოლაპარაკებითი" პარტიებით. ეს ტიპები, უბრალოდ, ყველაზე საზიზღარი ძაღლებია.

საბჭოელებმა გამოაქვეყნეს ჩემი წიგნი „60 სამახსოვრო პარტია" და არავითარი ჰონორარი არ გადამიხადეს. მე შევეცადე ფული მომეთხოვა, მაგრამ მათ [illegible] მიპასუხეს, სადაც [illegible] თუ ჰონორარს არ [illegible]ედ წიგნის ხელახლა გამოცემის ნებაც კი აქვთ.

[illegible]პაროვის წიგნები „ფიზკულ[illegible] სპორტის" გამომცემლობაში [illegible]ოდა, ე.ი. იქ, სადაც ჩემი „60 სამახსოვრო პარტია". გამოდის, რომ იმის მაგივრად, ჩემთვის გადაეხადათ ჰონორარი, მას უხდიდნენ. შეიძლება იმის თქმაც კი, რომ კასპაროვი ჩემი მევალეა.

— ვინ დაიჯერებს, რომ რუს გამომცემლებს 100 ათასი დოლარი არა აქვთ, თუმცა, მე სულაც არ ვამტკიცებ, რომ მათ მაინცდამაინც ეს თანხა მართებთ.. აქ საჭიროა პატიოსანი მოლაპარაკება. ისინი ამბობენ, რომ 50 ათასი ეგზემპლარი გამოსცეს. არავინ იცის ზუსტი რიცხვია ეს თუ არა, შესაძლოა 100 ათასია, შეიძლება ნახევარი მილიონიც. შემოწმებაა საჭირო. სანამ ეს არ მოხდება, კასპაროვთან მატჩზე არავითარ მოლაპარაკებას არ ვაპირებ.

— მე ვუჩივი კომპანია „ტაიმ კორპორეიტედს" (მას ახლა „ტაიმ-უორნერი" ჰქვია).. მე მას ვედავები ათეულ მილიონ დოლარს. სხვადასხვა საქმიანობისთვის — ცილისწამების, კონტრაქტის დარღვევისთვის და ა.შ. სასამართლოში ორი წელი გავატარე, უამრავი დრო და თანხა დავკარგე, მოსამართლემ კი თქვა: „არ არის საქმის აღძვრის საფუძველი, მე ვაბრუნებ სარჩელს საქმის განუხილავად". ამიტომაც მიმაჩნია, რომ ამერიკის ხელისუფლება და „ტაიმ კორპორეიტედი" ერთმანეთს დანაშაულებრივად დაუკავშირდნენ, რათა ჩემთვის თანხა დაეკარგვინებინათ და დამაკარგვინეს კიდეც. სწორედ ამის გამო იყო, რომ 1977 წლიდან მოყოლებული მე არ ვაფორმებდი და არც ვიხდიდი ფედერალურ გადასახადს და არც კალიფორნიის შტატის გადასახადებს.

— რაც შეეხება ამერიკულ საჭადრაკო ფედერაციას, მე მასთან არავითარი საერთო არა მაქვს. ამ ორგანიზაციაში უკვე 17 წელია აღარ ვირიცხები.

— ულიმიტო მატჩების შესახებ: ტყუილად ეშინიათ, რომ ასეთი მატჩი ძალიან დიდხანს გაგრძელდება, თუკი, რა თქმა უნდა, თვით მონაწილეები ამას არ მოისურვებენ. პირველი მატჩი 1984 წელს კარპოვსა და კასპაროვს შორის ყაიმების გაუთავებელი სერიით აღინიშნა, თითქოს არცერთ მხარეს არ შეუძლია მოგება, სისტემა, რომელიც ყაიმებს არ ითვალისწინებს, თითქოს ცუდია, სინამდვილეში კი ეს მატჩი ცუდი „სპექტაკლი" იყო. რა თქმა უნდა, საჭადრაკო პარტია შეიძლება გაუთავებლად გაგრძელდეს, თუკი პარტნიორები ამას მოისურვებენ.

— კასპაროვი არავითარი ჩემპიონი არ არის. იგი, უბრალოდ, თაღლითია. ყველა მისი მატჩი კარპოვთან წინასწარ მოლაპარაკებული იყო, ის განცხადებები კი, რომელიც მან ჩემი და სპასკის მატჩის დროს გააკეთა, სიცრუით არის სა-

იხ. მე-4 გვერდი

# ხაიმე ისაგას შანსი

ასეთი ხალხი მსოფლიო ჩოგბურთის ისტორიაში იშვიათად მოიძევება. არადა, სტატისტიკოსები დეტალურად ალრიცხავენ ყველა საინტერესო შემთხვევას, რაც დიდი სლემის ტურნირებთან არის დაკავშირებული. ისინი საგანგებოდ გამოჰყოფენ იმ ჩოგბურთელებს, რომლებიც ამარცხებენ წინა ტურნირის ფინალისტებს (უფრო სწორად, გამარჯვებულსა და ფინალისტს).

ასეთ წარმატებას უკანასკნელად შეუდარებელმა ჯონ მაკინროუმ მიაღწია 1984 წელს აშშ-ს ღია ჩემპიონატში. მან ჯერ გზიდან ჩამოიცილა წინა გათამაშების ჩემპიონი ჯიმი კონორსი, მერე კი გადამწყვეტ შეხვედრაში მეორე ფინალისტსაც — ივან ლენდლსაც აჯობა.

ამერიკის წლევანდელ ღია ჩემპიონატში ანალოგიურ წარმატებას მიაღწია პერუელმა ხაიმე ისაგამ, ოღონდ მაკინროუსაგან განსხვავებით, მან ფინალისაკენ მიმავალი გზა გაუწმინდა სხვა ორ ჩოგბურთელს. ერთი სიტყვით, 27 წლის ისაგამ (სიმაღლე 1,70 სანტიმეტრი) მესამე წრეში დაამარცხა შარშანდელი გათამაშების ფინალისტი, ფრანგი სედრიკ პიოლინი, მეოთხეში კი თვით პიტ სამპრასი დასაჯა. მაგრამ პერუელმა მეტის გაკეთება ველარ შეძლო და შემდეგ წრეში ჩეხ კარელ ნოვაჩეკთან მარცხის შემდეგ თავად გამოეთიშა ასპარეზობას. თუმცა ჩოგბურთის (ამ შემთხვევაში აშშ-ს ღია ჩემპიონატის) ისტორიაში მაინც შევიდა.

ისაგას მიერ გაკვალულ გზაზე კი ერთმანეთს შორის ურთიერთობა გაარკვიეს ამერიკელმა ანდრე აგასიმ და გერმანელმა მიჰაელ შტიხმა. აგასის ორი წლის წინ უიმბლდონზე გამარჯვების შემდეგ თავი დიდად არ გამოუჩენია, აი აშშ-ს ღია ჩემპიონატში კი სამ პარტიაში აჯობა მეტოქეს (6:1, 7:6, 7:5) და კიდევ ერთი დიდოსტატური ბალი მიიღო.

ქალთა ერთეულებში ჩემპიონი გახდა ესპანელი არანტა სანჩეს-ვიკარიო, რომელმაც მძიმე, „სამრაუნდიან" ბრძოლაში აჯობა მსოფლიოს პირველ ჩოგბურთელს გერმანელ შტეფი გრაფს — 1:6, 7:6, 6:4. სხვათა შორის, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ბოლო დროს ესპანელი აშკარად ჩაგ... გერმანელს.

დანარჩენ თანრიგებში ფინალური შეხვედრები ასე დამთავრდა:

ვაჟთა წყვილები: ი. ელტინგი, პ. ხაარხუსი (ჰოლანდია) — ტ. ვუდბრიჯი, მ. ვუდფორდი (აშშ) 6:3, 7:6.

ქალთა წყვილები: ა. სანჩეს — ვიკარიო (ესპანეთი), ი. ნოვოტნა (ჩეხეთი) — კ. მალეევა (ბულგარეთი) — რ. უაიტი (აშშ) 6:3, 6:3.

შერეული წყვილები: ე. რეინაჰი (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა), პ. გელბრაიტი (აშშ) — ი. ნოვოტნა (ჩეხეთი), ტ. ვუდბრიჯი (აშშ) 6:2, 6:3.

## როცა სპონსორთა ხელწყობაა

საქართველოს პირადი ჩემპიონატი საგზატკეცილო ველორბოლაში ამჯერად ბათუმში ჩატარდა. პროგრამა მხოლოდ ორ სახეობას მოიცავდა — 30-კილომეტრიან კრიტერიუმსა და რბოლას 70 კილომეტრზე საერთო სტარტით. პირველი სახეობა გაიმართა ქალაქის ცენტრალურ ქუჩებში, მეორე კი ბათუმ — ქობულეთის გზატკეცილზე.

წინასწარ უნდა ვთქვათ, რომ შეჯიბრება ორგანიზებული იყო უმაღლეს დონეზე — უნაკლო კვებით, საცხოვრებლით, ბრწყინვალედ მომზადებულ ტრასაზე უსაფრთხოების ყველა ნორმის დაცვითა და კარგი სამედიცინო მომსახურებით. ყველაფერ ამას, პირველ ყოვლისა, ვუმადლით აჭარის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს (მინისტრი თენგიზ ხახვა) და აჭარის ველოსპორტის ფედერაციას (პრეზიდენტი რევაზ ცეცხლაძე), აგრეთვე, სპონსორებს, რომლებსაც ერთი წუთითაც არ შეუნელებიათ ყურადღება ჩემპიონატის მონაწილეთა მიმართ. ეს სპონსორებია: კომერციული ფირმა „ჯორჯეკსი" (გენერალური დირექტორი გელოდი კობალაძე), ბათუმის პორტი (უფროსი ასლან ბოლქვაძე) და ციტრუსების გადამამუშავებელი ქარხანა „ნარინჯი" (დირექტორი თენგიზ ყურშუბაძე). საგანგებო მადლობას იმსახურებენ აჭარის ავტოინსპექცია და სასწრაფო-სამედიცინო დახმარება, რომელთა საქმიანობა შეჯიბრების ნორმალურად ჩატარების კარგი გარანტია იყო.

პირველ ექვს ადგილზე გასული სპორტსმენები დაჯილდოვდნენ ფასიანი და ფულადი პრიზებით.

კრიტერიუმი. 30 კმ. 1. ზვიად ლორთქიფანიძე (ვანი, „მართვე") — 40 ქულა, 2. კობა აბაიშვილი (თბილისი, „შევარდენი") — 34, 3. გოგიტა ფრუიძე (თბილისი, „ივერიის" სპორტკლუბი) — 15.

ინდივიდუალური რბოლა 70 კმ საერთო სტარტით. 1. რაფაელ მაგუსევი (ქობულეთი, „შევარდენი") — 1:48.0, 2. ზვიად ლორთქიფანიძე — 1:48.05, 3. კობა აბაიშვილი — 1:48.12.

**შალვა სალარეიშვილი,**
საქართველოს ველოსპორტის ფედერაციის გენერალური მდივანი.

* * *

## ინფორმაცია

იტალიის პროფესიონალ ველოსიპედისტთა ლიგამ 2-წლიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა ჯანი ბუნიოს აკრძალული პრეპარატის მიღებისათვის. ეს გამოცხადდა 17 აგვისტოს განმეორებითი ანალიზის შემდეგ. ტესტირებამ ცხადყო, რომ ბუნიოს ორგანიზმში დაშვებულზე მეტი კოფეინი იყო. პირველი ანალიზის შემდეგ ველოსიპედისტმა თქვა, რომ თუ დისკვალიფიკაციას მიუსჯიან თავს დაანებებს სპორტს.

## კრიმინალური ქრონიკა

არიზონის შტატის პოლიცია ეძებს პროფესიონალთა შორის მსოფლიო ჩემპიონს კრივში მაიკლ კარბახალს. იგი ნასვამი გაეკიდა მანქანას, რომელსაც სანდომიანი სახის ქალი მართავდა. ერთ-ერთ მოსახვევში წინმიმავალი მძღოლის დასაშინებლად დაუმიზნებლად, თორმეტჯერ ისროლა. საბედნიეროდ, გამვლელთაგან არავინ დაშავებულა. პოლიციელებმა ყველა თორმეტი ვაზნა ტროტუარზე იპოვნეს, დამნაშავე კი მოწმეებმა იცნეს.

●

თავდებში გამოშვებული „ნოტინჰემ ფორესტის" ფორვარდი სტენ კოლიმორი. 23 წლის ფეხბურთელში კლუბმა წლეულს 2,2 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაიხადა, რაც ამერიკულ დოლარებში 3,4 მილიონს შეადგენს. კოლიმორს ბრალად ედება ჩხუბი, რომელიც მან წამოიწყო ქალაქ კენოკის ღამის კლუბის წინ. საქმის განხილვა დანიშნულია სექტემბრის ბოლოსთვის.

●

კოლუმბიის მთავრობამ ესკობარას მკვლელობის შემდეგ გადაწყვიტა გააძლიეროს კონტროლი საფეხბურთო კლუბებზე. ამიერიდან მოთამაშეთა დოპინგ შემოწმება განხორციელდება სახელმწიფო დონეზე. და რაც მთავარია, ფეხბურთელთა უსაფრთხოებაზე ზრუნვას სახელმწიფო კისრულობს.

### სამწუხაროდ!

## რედაქციის განცხადება

პრესის გავრცელების რესპუბლიკური ცენტრიდან მიღებული მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ჩვენი ქვეყნის ცალკეულ ქალაქებში და რაიონებში ყოველთვიურად საცალო ვაჭრობაში ჩამოიწერება (?!) „ლელოს" ცალკეული ნომრები, სიაში გვხვდება ერთი და იგივე რეგიონები. ეს მაშინ, როცა ზოგან, პირიქით, გაზეთის რაოდენობის გაზრდა სურთ, განსაკუთრებით დიდია მოთხოვნა თბილისში.

ვინაიდან ჩვენთვის შეუძლებელია სიმართლის დადგენა, 1994 წლის 1 ოქტომბრიდან, რედაქცია, სამწუხაროდ, განაწილებაში ველარ შეიტანს ქალაქებს ფოთს, რუსთავს, გორს, თელავს, ტყიბულს, აგრეთვე ბოლნისის, ონის, ახალგორის, წყალტუბოს, დმანისის, თეთრი წყაროს, ხაშურის, სენაკის, ქარელის, კასპის, მარნეულის, ლენტეხის, ბორჯომის, მცხეთის რაიონებს. „ლელოს" მიწოდება მათ განუახლდებათ მას შემდეგ, როდესაც რედაქციაში (თბილისი, კოსტავას, 14) მივიღებთ პრესის გავრცელების ადგილობრივი სამსახურის საგარანტიო წერილს, გაზეთის რაოდენობის მითითებით.

## ახალი სახელი ჩოგბურთში

რუსეთის ჩოგბურთის აკადემია ანუ ცსკა-ს ჩოგბურთის კლუბი ჩოგნის ნიჭიერ ოსტატთა სამჭედლოა. სწორედ აქ კარგა ხანს ოსტატდება ერთ-ერთი პერსპექტიული ქართველი სპორტსმენი ნ. ლუარსაბიშვილი. აქედან გამოვიდნენ საკმაოდ ძლიერი ჩოგბურთელები ოლხოვსკი, მაკაროვა, მანიუკოვა, ფილიპოვი, ლინკოვა, ტეხანკინა და სხვა.

დღეს აქ ოსტატობას იმაღლებს კიდევ ერთი ქართველი სპორტსმენი — 14 წლის ლევან ჭკადუა.

— პირადად მე მუდამ მწამდა ლევანის ტალანტის — ამბობს მისი პირველი მწვრთნელი გურამ თოხაძე, რომელმაც ბევრი ნიჭიერი ჩოგბურთელი აღუზარდა სპორტულ საქართველოს.

გ. თოხაძის შემდეგ ლ. ჭკადუამ ვარჯიში ახალგაზრდა რუსთაველ მწვრთნელთან ზურაბ აბაიძესთან გააგრძელა. მისი თამაში ბევრად სტაბილური გახდა, გაიზარდა აგრესიულობა, დარტყმის სიძლიერე, დაიხვეწა თამაში უკანა ხაზზეც. შედეგმა არ დააყოვნა — ლევანმა მოიგო 5 ტურნირი, ექვსში პრიზიორი გახდა. ამასთან, „ტაის-სპორტის" რეიტინგში 53-ე ადგილიდან მეექვსეზე გადაინაცვლა. რაც შეეხება რუსეთის ჭაბუკ ჩოგბურთელთა რეიტინგს, ლ. ჭკადუა აქ უკვე მესამეა.


ლევან ჭკადუა

წარმატებით ჩაატარა ნიჭიერმა ჩოგბურთელმა „ლეფორტოვოს თასის" გათამაშებაც, სადაც არმიელთა გუნდში მეორე ადგილი მოიპოვა, თანაც ყველა ერთეულთა შეხვედრა მოიგო.

რუსეთის პირად პირველობაში ახალგაზრდებს შორის ლ. ჭკადუა ოთხეულში შევიდა, სამწუხაროდ, ფინალში გასასვლელ გზაზე ხელი დაიზიანა (ცერის მოტეხვა) უფელ ა. დერიბასკოსთან შეხვედრაში და რამდენიმე ხნით გაუცდა ვარჯიში.

დღეს ლევანს ახალი ტურნირები, ახალი გამარჯვებები ელის. სიტყვამ მოიტანა და, ვიტყვით, მას დიდად ეხმარებიან მოსკოვში საქართველოს საელჩოს თანამშრომლები — გენერალური კონსული ლ. პაპუაშვილი, აგრეთვე ვ. მოკერია, გ. ფაცურია, თ. ხუროშვილი და სხვანი.

**მერაბ ჭავთარაძე**

## მხოლოდ ტექნიკური შედეგები

**მძლეოსნობა.** ლონდონი. კრისტალ პალასის სტადიონი. მსოფლიოს გუნდური თასი. ვაჟები. 1. აფრიკა — 116 ქულა, 2. დიდი ბრიტანეთი — 111, 3. ამერიკა — 95. ქალები. 1. ევროპა — 111, 2. ამერიკა — 98, 3. გერმანია — 79.

**ველოსპორტი.** პოლონეთის ტური. V ეტაპი. 169 კმ (ოლკუსი — კელცე). 1. იაცეკ მიცკევიჩი (პოლონეთი) — 3:38,23. ხუთი ეტაპის ჯამში. 1. მაურიციო ფონდრიესტი (იტალია) — 21:31,33. მეორე იტალიელი მარკო ლიეტე ლიდერთან 48 წამს აგებს.

ველოსიპედისტთა მსოფლიოს კავშირმა გამოაქვეყნა უძლიერესთა რეიტინგული სია სექტემბრის პირველი ნახევრის ჩათვლით. ლიდერობას კვლავ ინარჩუნებს შვეიცარიელი ტონი რომინგერი. მეორე ადგილზეა მიგელ ინდურაინი (ესპანეთი), მესამეზე — კლაუდიო კიაპუჩი (იტალია), მეოთხეზე — ევგენი ბერზინი (რუსეთი).

**მხატვრული ტანვარჯიში.** პანოვერი. „გრან-პრი" ჯგუფურ ვარჯიშში. 1. რუსეთი, [illegible]



## ევროპის საკლუბო ტურნირები კალათბურთში

## განმეორებითი მატჩები

კალათბურთელთა ევროპული საკლუბო ტურნირების საპასუხო მატჩების შემდეგ ოთხივე ჩვენი კოლექტივი გამოეთიშა ასპარეზობას.

**ჩემპიონთა თასი.** „ბროცენი" (რიგა) — „ვითა" (თბილისი) 100:95 (57:46). შეხვედრა გაიმართა რიგის მახლობლად, მყუდრო პატარა ქალაქტილში, რომლის მოედანი აშკარად უვარგისი იყო ასეთი დონის შეხვედრისათვის. ეს, სხვათა შორის, მატჩის არბიტრებმაც დააფიქსირეს სპეციალურ საპროტესტო წერილში. ბრძოლა უაღრესად დაძაბულად მიმდინარეობდა. მასპინძლებმა უკეთ ითამაშეს პირველ ტაიმში, „ვითამ" — მეორეში, რომელიც, სხვათა შორის, მოვიგეთ კიდეც — 50:43. ჩვენს გუნდს ყველაზე ბევრი ქულა შესძინეს: კობეშავიძემ — 21, სანაძემ — 20, ვაშაკიძემ — 19, ჩერქეზიშვილმა — 15. ორთავე მხრიდან საუკეთესო მოთამაშისთვის დაწესებული პრიზი კობეშავიძეს ერგო.

**კორაჩის თასი.** „სტატიბა" (ვილნიუსი) — „თბილისი" 94:92 (47:40). თამაში ერთობ დაძაბულად მიმდინარეობდა. ერთი პერიოდი თბილისელები წინ იყვნენ 5 ქულით. მასპინძლების მაქსიმალური უპირატესობა 9 ქულას არ ასცილებია. მატჩის დამთავრებამდე 37 წამით ადრე ანგარიში იყო 92:92. თბილისელებმა სროლა ვერ გამოიყენეს, ბურთს დაეუფლენ მეტოქეები და ორი ქულით დაწინაურდნენ. ბოლო წამზე ჩვენებმა ფარისკენ გაგზავნეს ბურთი, რომელიც ჩავარდა კიდეც კალათში, მაგრამ სათამაშო დრო უკვე დამთავრებული იყო და 2 ქულა, ბუნებრივია, არ დაგვეწერა.

**კორაჩის თასი** „ბიპა-მოდა" (ოდესა) — „მერანი" (თბილისი) 94:76 (53:46). ამჯერად, ოდესელთა გუნდში მობილიზებული იყვნენ უკრაინის საუკეთესო კალათბურთელები, რომელთა შესახებაც ადრე არაფერი ვიცოდით. მეტოქემ, რომელშიც ბლომად იყვნენ ტანმაღალი კალათბურთელები, დიდებული შთაბეჭდილება დატოვა. ჩვენს გუნდში ყველაზე შედეგიანი მოთამაშე იყო ცხვედიანი (32 ქულა), რომელსაც მასპინძლებმა ვერაფერი მოუხერხეს. შეხვედრის შემდეგ ოდესელთა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ყოველ წელს მიგვიწვევენ კალათბურთელთა ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე.

**კორაჩის თასი.** ცსკა ვმს (სამარა) — „კაქტუსი" (თბილისი) 116:89 (50:37) მასპინძლებმა უძლიერესი შემადგენლობა დაგვახვედრეს, ფაქტობრივად ალმა-ათის ყოფილი არმიელთა კოლექტივი, რომლის საუკეთესო ძალები ამჟამად სამარის გუნდის ღირსებას იცავენ. ესენია ოლიმპიური ჩემპიონი ვალერი ტიხონენკო, მისი სახლიკაცები იგორი და ბორისი, აგრეთვე, ჟუკონენკო, ფილიპოვი და სხვები. მაგრამ თამაში, ბუნებრივია, მათთანაც შეიძლებოდა, მით უფრო, რომ პირველი შეხვედრა თბილისში 19 ქულით გვქონდა მოგებული. მაგრამ ეს, ერთი შეხედვით. სოლიდური ფორა ფსიქოლოგიურ ტვირთად დააწვა ახალგაზრდა კალათბურთელებს, რამაც [illegible] კიდეც საბოლოოდ მატჩის [illegible]რადა. ბრძოლის ბოლო წუთზე სხვაობა ანგარიშში 21 ქულა იყო...

## საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

### პირველი ჯგუფი

V ტური

„დინამო" (ბათუმი) — „დინამო" (თბილისი) 3-5
„შევარდენი-1906" (თბილისი) — „კახეთი" (თელავი) 2-2
„ტორპედო" (ქუთაისი) — „დურუჯი" (ყვარელი) 2-1
„გურია" (ლანჩხუთი) — „სამგურალი" (წყალტუბო) 4-2
„სამტრედია" (სამტრედია) — „კოლხეთი-1913" (ფოთი) 2-1
„მარგვეთი" (ზესტაფონი) — „საპოვნელა" (თერჯოლა) 1-1
„დილა" (გორი) — „დინამო" (ზუგდიდი) 1-0
„იველია" (ხაშური) — „მეტალურგი" (რუსთავი) 2-0

## ჭაბუკთა ორი მატჩი

წარმატებით აილო სტარტი საქართველოს ჭაბუკთა (16 წლამდე) ნაკრებმა (მთ. მწვრთნელი — გ. დარსაძე, მწვრთნელი — ო. რუხაძე) სლოვენიაში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში.

19 სექტემბერს ჩვენები სომხეთის ნაკრებს ეთამაშებოდნენ. მატჩის დღეს სლოვენიაში მკვეთრად აცივდა და ტემპერატურა სულ რამდენიმე საათში +2 გრადუსამდე დაეცა. სომეხმა ჭაბუკებმა თავიდან შეძლეს დაწინაურება, მაგრამ საქართველოს ნაკრებმა მალე თამაშში გარდატეხა შეიტანა, პენალტიც დაიმსახურა, მაგრამ ვერ გამოიყენა იგი. ამის მიუხედავად, იერიში იერიშს მოსდევდა და ჩვენებმა მეტოქეს ზედიზედ 5 ბურთი გაუტანეს. საბოლოო ანგარიშია 5-2 საქართველოს ნაკრების სასარგებლოდ.

## კრივის ამბები

45 წლის მსოფლიოს ექსჩემპიონმა მძიმე წონის მოკრივეთა შორის ჯორჯ ფორმენმა, გახსოვთ ალბათ, ბრძოლით მოიპოვა ახლანდელ ჩემპიონთან მაიკლ მურერთან შეხვედრის უფლება. ეს მატჩი გაიმართება 5 ნოემბერს და გაარკვევს ახალი ჩემპიონის ვინაობას ერთბაშად ორი ვერსიით (მოკრივეთა მსოფლიო ასოციაცია და კრივის საერთაშორისო ფედერაცია). თუ ბრძოლას ფორმენი მოიგებს, ჯიბეში 4 მილიონ დოლარს ჩაიდებს. მურერის წილი 9,6 მილიონი დოლარითაა განსაზღვრული.

ფორმენი რინგზე აღარ გამოსულა შარშანდელი ივნისის შემდეგ, როცა წააგო ორთაბრძოლა ახალგაზრდა ტომი მორისონთან. ამიტომ მისი შესაძლებლობები ამ ბრძოლაში ერთობ პრობლემატურია და ბუნებრივია, მოკრივეთა მსოფლიოს ასოციაცია კატეგორიული წინააღმდეგი იყო მატჩისა. იგი მოითხოვდა აუცილებელ სამედიცინო ტესტირებას და მედიკოსთა სპეციალურ დასკვნას. მაგრამ 45 წლის ფორმენმა სასამართლოში უჩივლა ასოციაციას და საქმე მოიგო.

მომავალი ორთაბრძოლის ირგვლივ ამტყდარი აჟიოტაჟი უჩვეულოდ დიდია. ყოველ შემთხვევაში ინტერესი ფორმენის პიროვნებისადმი ისეთივეა, როგორც 1987 წელს, როცა მოკრივემ ხანგრძლივი შესვენების შემდეგ პირველად გადაწყვიტა რინგზე დაბრუნება.

18 ნოემბერს ლას-ვეგასში კრივის საერთაშორისო ფედერაციის ვერსიით საინტერესო ბრძოლა გაიმართება 76,2 კგ წონით კატეგორიაში. ერთმანეთს შეხვდებიან ახლანდელი მსოფლიოს ჩემპიონი ჯეიმს ტოუნი და საშუალო წონაში მსოფლიოს ჩემპიონი როი ჯონსონი. გამარჯვებულს მიენიჭება ჩემპიონის ტიტული სუპერსაშუალო წონაში და შესაბამისად გადაეცემა ოქროს ქამარი.

# ევროპის ჩემპიონატი

მსოფლიოს XV საფეხბურთო ჩემპიონატმა, რომელიც ივნის-ივლისში გაიმართა ამერიკის შეერთებულ შტატებში, მეორე პლანზე გადასწია ყოველგვარი სხვა სპორტული შეჯიბრება მთელს პლანეტაზე. ამიტომაც თითქმის შეუმჩნეველი დარჩა ჩრდილოეთ ირლანდიისა და ლიხტენშტეინის გუნდების შეხვედრის შედეგი (ევროპის ჩემპიონატი 1-4, მეექვსე შესარჩევი ჯგუფი).

მაგრამ მსოფლიო პირველობამ უკვე ორი თვეა განვლო და ახლა საყოველთაო ყურადღების ცენტრში დადგა ახალი, დიდი, მეტად საინტერესო და მასშტაბური შეჯიბრება, რომელსაც მთელი ქვეყნის საფეხბურთო წრეები მოუცილებლად ადევნებენ თვალს — ევროპის ჩემპიონატი.

4 სექტემბერს ისრაელელებმა შინ ანგარიშით 2-1 დაამარცხეს პოლონეთი (I შესარჩევი ჯგუფი), ხოლო ესტონელებმა, აგრეთვე შინ, წააგეს ხორვატიის გუნდთან (IV შესარჩევი ჯგუფი), 7 სექტემბერს კი საკვალიფიკაციო ტურნირში ჩაებნენ სხვა ჯგუფების წარმომადგენლები, მთავარი ძალები.

შევუდგეთ ამ შეხვედრათა განხილვას.

I ჯგუფი. რუმინეთი — აზერბაიჯანი 3-0. რუმინელებმა მსოფლიო ჩემპიონატშიც გამოიჩინეს თავი ახლახან და არც ამ მატჩში გართულებიათ საქმე — 3-0, აი ფრანგულ ფეხბურთში კი, როგორც ჩანს, კვლავ გრძელდება კრიზისი ფრანგებმა სტუმრად მხოლოდ ქულა აიღეს სლოვაკეთის ნაკრებთან შეხვედრაში (0-0).

II ჯგუფი. ბელგიელები საკუთარ მინდორზე საკმაოდ იოლად გაუმკლავდნენ სომხეთის გუნდს (2-0), ევროპის ახლანდელი ჩემპიონი დანია კი სტუმრად მხოლოდ ფრეს დასჯერდა მაკედონიის გუნდთან შეხვედრაში — 1-1.

III ჯგუფი. უნგრელი ფეხბურთელებიც დეპრესიულ მდგომარეობაში იმყოფებიან. თურქეთის ნაკრებთან მატჩში, ისიც შინ, თავიანთი გულშემატკივრების თანდასწრებით, მათაც მხოლოდ ერთი ქულის აღება შეძლეს — 2-2. ისლანდიის და შვეციის შეხვედრაში, მინიმალური ანგარიშით (1-0) გამარჯვებას შვედებმა მიაღწიეს.

IV ჯგუფი. სლოვენიისა და იტალიის გუნდების მატჩში სტუმრებმა, იტალიელებმა, მხოლოდ ფრეს მიაღწიეს (1-1). ერთ დროს მეტად ძლიერმა უკრაინის გუნდმა კი კიევში მარცხი იწვნია ლიტვის ნაკრებთან შეხვედრაში, ისიც საკმაოდ საგრძნობი სხვაობით 0-2.

V ჯგუფი. ჩეხეთისა და მალტის გუნდების მატჩში ჩეხებს არავითარი პრობლემა არა ჰქონიათ — 6-1, ჰოლანდიელებმაც ლუქსემბურგში სრული უპირატესობით ითამაშეს მასპინძლებთან და გაიმარჯვეს ანგარიშით 4-0, ხოლო ნორვეგიელებმა შინ ერთადერთი გატანილი ბურთის მეოხებით მოუგეს ბელარუსებს.

VI ჯგუფი. ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრებმა ლიხტენშტეინის გუნდთან მოპოვებული იოლი გამარჯვების შემდეგ კვლავ შინ ითამაშა და ამჯერად წაგებას ვერ გადაურჩა პორტუგალიელებთან შეხვედრაში — 1-2. რაც შეეხება ლიხტენშტეინს, მან მეორე მატჩიც წააგო, ამჯერად შინ ავსტრიელებთან — 0-4. ირლანდიის ნაკრებს სრული უპირატესობა ჰქონდა სტუმრად ლატვიის გუნდთან (3-0).

VII ჯგუფი. აქ აშკარად გამოკვეთილი, ორი უდავო ფავორიტია: გერმანია და ბულგარეთი. გერმანელები ზედმეტ კომენტარს არ საჭიროებენ, მათი ძალა და ავტორიტეტი საერთაშორისო ფეხბურთში საყოველთაოდ ცნობილია, ხოლო ბულგარელებმა თავიანთი მაღალი კლასი განვლილ მსოფლიო ჩემპიონატზე ცხადად დაამტკიცეს. დარჩნენ საქართველო, უელსი, მოლდოვა და ალბანეთი. ამდენად პირველ-მეორე ადგილებზე გასვლის შესაძლებლობა, რაც ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრის საშუალებას იძლევა, მეტად საპრობლემო საქმეს წარმოადგენს.

ამ ეტაპზე საქართველოს ფეხბურთელთა პირველ მეტოქედ კალენდარმა მოლდოვის ნაკრები გვარგუნა და რახან ჩვენი გუნდი საკუთარ მინდორზე თამაშობდა, სავსებით გასაგები იყო ოპტიმისტური მოლოდინი. შინ? მოლდოვასთან? სადებიუტო მატჩში? რა თქმა უნდა, გამარჯვება, მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვება, მით უფრო, რომ კარგად გვახსოვდა: 1991 წელს კიშინიოვში შევხვდით მოლდოველებს და მასპინძლები დავამარცხეთ ანგარიშით 4-2. ამჯერად სინამდვილემ მწარე სიურპრიზი შემოგვთავაზა, თამაში წავაგეთ — 0-1. სხვათა შორის, იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ იმავე მოლდაველებთან მატჩში, ეს იყო 1957 წელს (მაშინ უმაღლეს ლიგაში კიშინიოვის „ბურევესტნიკი" გამოდიოდა) თბილისის „დინამოს" შინ ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდა, თამაში კი წააგო, თანაც დიდი სხვაობით 0-3.

ერთი სიტყვით, სანამ მოლდოველებთან რევანშის აღებაზე მიდგება საქმე, უამრავი საფიქრალი და საზრუნავი აქვს საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელობას, რომელთაგან უმთავრესია ტერიტორიული სათამაშო უპირატესობის შესაბამისი რეალიზაცია, შეტევის დამთავრების ელემენტარული უნარი.

ამავე ჯგუფში უელსელებმა შინ ანგარიშით 2-0 დაამარცხეს ალბანეთის ნაკრები.

შესაძლოა, ვინმეს არა აქვს საქართველოს ფეხბურთელთა შესარჩევი თამაშების კალენდარი, ან სადმე შემოეკარგა იგი, ამიტომაც გავიმეორებთ ჩვენი გუნდის სამერმისო განრიგს:

12.10.94. ბულგარეთი — საქართველო
16.11.94. საქართველო — უელსი
14.12.94. ალბანეთი — საქართველო
29.03.95 საქართველო — გერმანია
26.04.95 — საქართველო — ალბანეთი
07.06.95 უელსი — საქართველო
06.09.95. გერმანია — საქართველო
11.10.95. საქართველო — ბულგარეთი
15.11.95. მოლდოვა — საქართველო

VIII ჯგუფი. აქ გაიმართა ორი შეხვედრა და ორივეში მასპინძლებმა მარცხი იწვნიეს: ფინელებმა — შოტლანდიელებისაგან (0-2), ფარერის კუნძულებმა — საბერძნეთთან (1-5).

## ფეხბურთი • ფეხბურთი • ფეხბურთი

XV მსოფლიო ჩემპიონატის ექო

# დიდი ფეხბურთის გაკვეთილები

ფეხბურთმა ბოლო რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ჩვენს თვალწინ, ჩვენი თაობის თანდასწრებით მნიშვნელოვანი ევოლუცია განიცადა. ერთ დროს თამაშობდნენ წინა და უკანა მცველების (წინა ბეკი, უკანა ბეკი) სისტემით, რომელსაც მე, რატომ მოგატყუოთ და, არ მოვსწრებივარ, ბალღი ვიყავი. მერე 1925 წელს, „თამაშგარე მდგომარეობის" ფიქსირების წესი შეიცვალა, მცველები ერთ ხაზზე განლაგდნენ (მარჯვენა ბეკი და მარცხენა ბეკი) და დამყარდა სისტემა „5 ხაზზე", რომელმაც კარგა ხანს იბოგინა 1936 წლამდე, სანამ ინგლისელმა სპეციალისტმა ჰერბერტ ჩეპმენმა თავისი შეუდარებელი „არსენალის" შესრულებით დააკანონა ე.წ. „დუბლ-ვე", ფრიად საინტერესო, შემოქმედებითი, შინაარსიანი, პროგრესული სისტემა. ამან ნამდვილი გადატრიალება მოახდინა ფეხბურთში, განუზომლად გააფართოვა მოთამაშეთა სამოქმედო დიაპაზონი, ფუნქციები, შემოქმედებითი შესაძლებლობანი: ბრძოლა მინდვრის შუაგულში გაცილებით გამრავალფეროვნდა და გამდიდრდა (ორი წინ წაწეული ნახევარმცველი და ორი უკან დაწეული შუამარბი თავისებურ კვადრატს ქმნიდნენ ცენტრში), თამაში მეტად მიმზიდველი, აზრიანი, ჯენტლმენური გახდა. ამ სისტემამ დიდხანს იარსება, 1958 წლამდე (ჩვენში იგი ბასკონიის ფეხბურთელებმა ჩამოიტანეს 1937 წელს) და აი, მაშინდელმა კორიფეებმა ბრაზილიელებმა ოკეანის გაღმიდან ევროპაში მოგვგვარეს ახალი სისტემა, მოთამაშეთა ახალი განლაგება მინდორზე 1+4+2+4. ამ სისტემასაც თავისი კონკრეტული ავტორი ჰყავდა — ცნობილია სპეციალისტი ვისენტე ფეოლა. ახლა ეს განლაგება გამეფდა მთელს პლანეტაზე და სხვადასხვა მოდიფიკაციით ყველა „ბრაზილიურს" თამაშობდა. დაცვითი რგოლების რიცხობრივი გაძლიერების მიუხედავად აქტიური, შემტევი თამაშის შესაძლებლობა მიეცათ ნახევარმცველებსაც და მცველებსაც, რომლებიც სისტემატურად მონაწილეობდნენ საიერიშო ოპერაციებში.

ასე იმეფა ბრაზილიურმა სისტემამ დაახლოებით 15 წელიწადს, მერე კი გამოჩნდა თამაშის ახალი წესი, მოთამაშეთა განლაგებისა და ურთიერთმოქმედების, სამოქმედო დიაპაზონის ახალი ფორმა, ე.წ. „ტოტალური ფეხბურთი". მასაც ჰყავდა თავისი შემქმნელი, მამამთავარი და დამფუძნებელი — ჰოლანდიელი რინუს მიხელსი, რომელმაც თავისი საოცარი გუნდის მეშვეობით ახალი საზღვრები გაუხსნა ფეხბურთს, ახალი სული შთაბერა მას. დაიმსხვრა ძველი ტრაფარეტები, ძველი დოგმები, უდიდესი გასაქანი მიეცა მოთამაშეთა ფიზიკურ-ათლეტურ თვისებებს, აზროვნებას, ტაქტიკურ მრავალფეროვნებას, მთელი მსოფლიო დღესაც სწორედ ტოტალურ ფეხბურთს თამაშობს. თანაც ვერ წარმომიდგენია ტოტალურის მერე სხვა ახალი რა შეიძლება გამოიგონოს კაცმა ფეხბურთში.

სხვათა შორის, სიტყვამ მოიტანა და უნდა ვთქვა, რომ ოდესღაც ქართველებმაც ვთქვით ჩვენი სიტყვა ფეხბურთის მოდიფიკაციაში, მის სახეცვლილებაში. ადგილების ცვლა თავდასხმაში ჩვენი მოგონილია, რომლის კონკრეტული დემონსტრაცია თბილისის დინამოელებმა მოახდინეს 1939 წელს ჩვენს თვალწინ მოსკოვის არმიელებთან დაუვიწყარ, უნიკალურ მატჩში. ამ იდეას სათავე დაუდეს ბორის პაიჭაძემ, გაიოზ ჯეჯელავამ და ასლან ხარბედიამ. გარდა ამისა, ჩვენ მუდამ გვყავდა დაცვითი ხაზების აქტიური ტოტალური შემტევი, გოლის გამტანი მოთამაშეები, რომელთა ნეიტრალიზება ესოდენ უჭირდათ მეტოქეებს (ა. ღოღობერიძე, გ. ანთაძე, რ. მახარაძე, ვ. პანიუკოვი, გ. სიჭინავა, შ. იამანიძე, ბ. სიჭინავა, ვ. ელოშვილი, მ. ხურცილავა, გ. ცხოვრებოვი, ქ. ასათიანი, ი. დათუნაშვილი, რ. ძოძუაშვილი, დ. ყიფიანი, ს. კუტივაძე, მ. მაჩაიძე, გ. მაჩაიძე, ვ. დარასელია, თ. სულაქველიძე და სხვანი), ამიტომაც მარტოოდენ უბადრუკი ეპიგონები და სხვათა მიმდევარნი ნურვისა ვგონივართ.

მაღალი სისწრაფე, შეუნელებელი ტემპი, საუკეთესო ფიზიკური მომზადება, მორალური სიმტკიცე, დიდი ბრძოლისუნარიანობა, წესებით ნებადართული ძალისმიერი ათლეტიზმი, მოთამაშეთა ვრცელი ტაქტიკური ერუდიცია და დიაპაზონი, სტრატეგიული ჩანაფიქრები და სხვა მრავალი რამ უხვად ვიხილეთ XV მსოფლიო ჩემპიონატზე და ამიტომაც იგი, ჩვენი აზრით, მეტად რთული, საინტერესო რამ სანახავი იყო.

არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ ის ამბავიც, რომ განვლილი პირველობა თავისი შინაარსით, თავისი არსით მოიერიშე, შემტევი, ღია ფეხბურთის ნათელი დემონსტრაცია გახლდათ. ჩაკეტილი, დაცვითი ფეხბურთი, სხვადასხვაგვარი „ბოქლომები", „საკეტები", „ურდულები", „კატენაჩიო" და მსგავსი ნეგატიური მოვლენები, რაც ასე არ უყვარს მაყურებელს, ამერიკის საფეხბურთო მინდვრებზე ხსენებაშიც არ იყო, ყველა იბრძოდა, ყველა მოძრაობდა, ყველა თავდაუზოგავად შრომობდა და ვინც კი აგებდა, მხოლოდ ულმობელ ბრძოლაში, შეუპოვარ შეტაკებებში. ესეც ღირსშესანიშნავი მოვლენაა, თანამედროვე ფეხბურთის შემდგომი განვითარებისა და პროგრესის უტყუარი ტენდენცია.

რამდენიმე კეთილი სიტყვა უნდა მოგახსენოთ განვლილი მსოფლიო შეჯიბრების მსაჯობაზე. არბიტრაჟი ერთ-ერთი უძველესი პრობლემაა ფეხბურთისა. რაც ეს თამაში არსებობს, საუკუნეზე მეტი ხანია, არსებობს მსაჯობის დილემაც და მასთან დაკავშირებული სიძნელეებიც. მე არას ვამბობ არაობიექტურ, მიკერძოებით არბიტრობაზე, რაც ამ შემთხვევაში უნდა სავსებით გამოირიცხოს, ვინაიდან ეს არაპროფესიული ლაპარაკია და მხოლოდ დაინტერესებულ მხარეთა კონცეფცია.

იდეალური მსაჯობა ფეხბურთში, ჩემი აზრით, საერთოდ არ არსებობს. იგი შეუძლებელი რამ გახლავთ, ვინაიდან არბიტრი ადამიანია და ყოველ ადამიანს, მოგეხსენებათ, შეცდომა მუდამ და ყოველთვის თან ახლავს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მსაჯი შესაძლოა ისეთ პოზიციაში აღმოჩნდეს, რომ უბრალოდ, ვერ დაინახოს მომხდარი დარღვევა, ან იმგვარად აღიქვას ეპიზოდი, ტრიბუნიდან ან სხვა წერტილიდან, რომ სულ სხვანაირად ჩანს. თანაც მინდორზე მრავალი რამ კალეიდოსკოპური სისწრაფით მონაცვლეობს, მათი ფიქსირება კი საჭიროა მომენტალურად, მყისვე, წამის დაუხანებლად. დღემდე გაურკვეველია, მაგალითად, გავიდა თუ არა 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩში ინგლისისა და გერმანიის გუნდებს შორის ბურთი გერმანელთა კარში ჰერსტის დარტყმის შემდეგ. თუმცა შვეიცარიელმა არბიტრმა გ. დინსტმა და აზერბაიჯანელმა ტ. ბახრამოვმა გოლი აღნიშნეს. ერთი წერტილიდან ერთნაირად ჩანს, მეორედან — სულ სხვანაირად. წადი და გაარკვიე!

მაგრამ XV მსოფლიო ჩემპიონატზე რომ მსაჯობა უმაღლესი კლასისა იყო, ეს აშკარაა. გარდა იმისა, რომ ცხადად იგრძნობოდა მსაჯთა ჩინებული კვალიფიკაცია, პროფესიული ცოდნა და მომზადება, არბიტრებს დიდად შეუწყო ხელი განუსაზღვრელად შეუზღუდავმა უფლებებმა, მათი კომპეტენციის აღიარებამ. მინდორზე დაუსჯელად პარპაშის უფლება აეკრძალათ ყველაზე უფრო თავგასულ და აღვირახსნილ მოთამაშეებსაც კი. დროის განზრახ გაჭიანურებაზე — ყვითელი ბარათი, მსაჯთან შეკამათებაზე — ყვითელი ბარათი, უკმაყოფილების ან პროტესტის დემონსტრაციულად გამოხატვაზე — ყვითელი ბარათი, მცირეოდენ უხეშობაზე — ყვითელი ბარათი, აშკარა უხეშობაზე — მინდვრიდან გაძევება, ყოველივე ამის წყალობით მსაჯი თამაშის სრულუფლებიან გამგებლად გრძნობდა თავს და შეუბორკავად წარმართავდა მას. ამიტომაც იყო, რომ დისციპლინის მხრივ შეჯიბრება სანიმუშო გახლდათ, ისიც საყურადღებოა, რომ არბიტრები მხოლოდ საკუთარი წამზომებით განსაზღვრავდნენ თამაშის დროს უქმად გაცდენილ დროს და ტაიმები, როგორც წესი 4-5 წუთით ხანგრძლივდებოდა ხოლმე. სიმულაციის მეშვეობით, რაც ფეხბურთში ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვხვდება, დროს ვერავინ აჭიანურებდა. თანაც დაშავებულ ფეხბურთელთა სამედიცინო დახმარების საქმე ამერიკაში საუკეთესოდ იყო ორგანიზებული: მცირე ტრავმის შემთხვევაშიც კი რამდენიმე მომსახურეს წამსვე გაჰქონდა მინდორზე საკაცე და მართლა დაშავებული იყო ფეხბურთელი თუ სიმულანტობდა, მაშინვე გამოჰყავდა სათამაშო მინდვრის ფარგლებს გარეთ. სამედიცინო პროცედურები მინდორზე არ სრულდებოდა.

სიმპტომატურია ისიც, რომ XV მსოფლიო ჩემპიონატის დებულებით გუნდებს ნება დაერთოთ თამაშის პროცესში შეეცვალათ არა ორი ფეხბურთელი, რაც წესებითაა რეგლამენტირებული, არამედ — სამი (მესამე — მეკარეს გულისხმობს). ფეხბურთი ხიფათიანი, რთული თამაშია, მით უფრო, მეკარეთათვის, ამიტომაც მწვრთნელებს ნება უნდა დაერთოთ განებავთ ტაქტიკური მოსაზრებით, განებავთ დაშავების შემთხვევაში საჭირო ცვლილებები და მანიპულაციები მოახდინონ თავისი გუნდების შემადგენლობაში. ჩვენ ის მაინც პერიოდიც გვახსოვს, როცა საერთოდ არც ერთი მოთამაშის შეცვლა არ შეიძლებოდა, რაც ახლა აშკარა ანაქრონიზმად მიგვაჩნია.

ფეხბურთელთა ფორმაზეც გვინდა ორიოდე სიტყვა ვთქვათ. დღეს მათ საუკეთესო ხარისხის ფორმა აცვიათ — მორგებული, მოხერხებული, მარჯვე, კოხტა, მაგრამ ეს სილამაზე ზოგჯერ იმგვარია, რომ თვალი აგიჭრელდება და ყოველგვარ ზომას სცდება. ჩვენ გვახსოვს მეკარეებს რომ სადა სვიტრები ეცვათ, მუხლებზე და მკლავებზე სპეციალური საფარები ეკეთათ, თავზე — აუცილებლად ქუდი, მინდვრის მოთამაშეებიც ერთი მკაცრი ფერის მაისურებითა გამოდიოდნენ და ერთი რამ განსხვავებული ფერის ზოლი თუ ჰქონდათ დაყოლებული მკერდზე. ახლა ნამდვილი მასკარადია: ჭრელ-ჭრული, ზიზილ-პიპილო მაისურები, ათასფერი ტრუსები. მექსიკელთა მეკარე ხორხე კამპოსი ისეთი მოხატული სვიტრით გამოდიოდა სათამაშოდ, ცირკის კლოუნს შეშურდებოდა.

ერთი სიტყვით, განვლილ მსოფლიო ჩემპიონატს დადებითი მხარეებიც ბევრი ჰქონდა და ნაკლოვანიც, მაგრამ იგი უდავოდ ფრიად საინტერესო, საყურადღებო და მნიშვნელოვანი მოვლენა გახლდათ, მისი გაკვეთილები ჯერ კიდევ შესასწავლი და გასაანალიზებელია, მის მდიდარ გამოცდილებას მომავალ დიდ შეჯიბრებებში ბევრნი გამოიყენებენ სასიკეთოდ და სასარგებლოდ.

დაბოლოს, წინასწარმეტყველთა შესახებ. ფეხბურთი და პროგნოზი მუდმივი თანმხლები ელემენტებია, პროგნოზი მეტოქე ძალთა ზუსტ ყოველმხრივ ანალიზს უნდა ემყარებოდეს და არა ვიღაც დედაკაცის ვანგას მკითხაობას, რომ ფინალში ის გუნდები გავლენ, ვისი სახელწოდებაც ასო „ბ"-ზე იწყება, ე.ი. ბრაზილია და ბულგარეთი...

ფეხბურთი სულ სხვაგვარ მიდგომას, სერიოზულ, საფუძვლიან ცოდნას საჭიროებს და არა ყავის ფინჯანში დანალექზე მკითხაობას.

ბიჭიკო ქორქია,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.

დასასრული. დასაწყისი იხ. „ლელო" №28, 30

## UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

### ჩემპიონთა ლიგა

„ა" ჯგუფი: „ბარსელონა" (ესპანეთი) — „გალათასარაი" (თურქეთი) 2-1
„მანჩესტერ იუნაიტედი" (ინგლისი) — „გეტებორგი" (შვეცია) 4-2
„ბ" ჯგუფი: „პარი-სენ-ჟერმენი" (საფრანგეთი) — „ბაიერნი" (გერმანია) 2-0
„დინამო" (კიევი) — „სპარტაკი" (მოსკოვი) 3-2
„ც" ჯგუფი: „ანდერლეჰტი" (ბელგია) — „სტიაუა" (რუმინეთი) 0-0
„ჰაიდუკი" (ხორვატია) — „ბენფიკა" (პორტუგალია) 0-0
„დ" ჯგუფი: „აიაქსი" (ჰოლანდია) — „მილანი" (იტალია) 2-0
„კაზინო" (ავსტრია) — ა ე კ (საბერძნეთი) 0-0

### თასების მფლობელთა თასი

მეთექვსმეტედფინალი
„პირინი" (ბულგარეთი) — „პანათინაიკოსი" (საბერძნეთი) 0-2
„ბეშიქთაში" (თურქეთი) — ჰ ი კ (ფინეთი) 2-0
„კროაცია" (ხორვატია) — „ოსერი" (საფრანგეთი) 3-1
„გრასჰოპერსი" (შვეიცარია) — „ჩერნომორეცი" (უკრაინა) 3-0
„ბრანიკი" (სლოვენია) — „ავსტრია" (ავსტრია) 1-1
„ბოდო გლიმტი" (ნორვეგია) — „სამპდორია" (იტალია) 3-2
„ბრონდბიუ" (დანია) — „ტირანა" (ალბანეთი) 3-0
„ჩელსი" (ინგლისი) — „ვიქტორია" (ჩეხეთი) 4-2
„ვერდერი" (გერმანია) — „მაკაბი" (ისრაელი) 0-0
ცსკა (რუსეთი) — „ფერენცვაროში" (უნგრეთი) 2-1
„ომონია" (კვიპროსი) — „არსენალი" (ინგლისი) 1-3
„დანდი იუნაიტედი" (შოტლანდია) — „ტატრანი" (სლოვაკეთი) 3-2
„გლორია" (რუმინეთი) — „სარაგოსა" (ესპანეთი) 2-1
„სლიგო როვერსი" (ირლანდია) — „ბრიუგე" (ბელგია) 1-2
„პორტუ" (პორტუგალია) — ლკს (პოლონეთი) 2-0
„ჟალგირისი" ,ლიტვა) — „ფეიენოორდი" (ჰოლანდია) 1-1

### უეფას თასი

ოცდამეთორმეტედ ფინალი
„დინამო" (თბილისი, საქართველო) — „ტიროლი" (ავსტრია) 1-0
„ანორთოსისი" (კვიპროსი) — „ატლეტიკო" (ესპანეთი) 2-0
ცსკა (ბულგარეთი) — „იუვენტუსი" (იტალია) 3-2
გ კ ს (პოლონეთი) — „არისი" (საბერძნეთი) 1-0
„არაუ" (შვეიცარია) — „მარიტიმუ" (პორტუგალია) 0-0
„ოლიმპიაკოსი" (საბერძნეთი) — „მარსელი" (საფრანგეთი) 1-2
„როსენბორგი" (ნორვეგია) — „დეპორტივო" (ესპანეთი) 1-0
„აპოლონი" (კვიპროსი) — „სიონი" (შვეიცარია) 1-3
„ტვენტე" (ჰოლანდია) — „კიშპეშტ — ჰონვედი" (უნგრეთი) 1-4
„ვიტესი" (ჰოლანდია) — „პარმა" (იტალია) 1-0
„კაიზერსლაუტერნი" (გერმანია) — „აკრანესი" (ისლანდია) 4-0
„ანტვერპენი" (ბელგია) — „ნიუკასლი" (ინგლისი) 0-5
„ლინფილდი" (ჩრ. ირლანდია) — „ოდენსე" (დანია) 1-1
„ინტერი" (იტალია) — „ასტონ ვილა" (ინგლისი) 1-0
„ოლიმპია" (სლოვენია) — „აინტრახტი" (გერმანია) 1-1
„სერენი" (ბელგია) — „დინამო" (მოსკოვი, რუსეთი) 3-4
ა ი კ (შვეცია) — „სლავია" (ჩეხეთი) 1-1
„დინამო" (მინსკი, ბელარუსი) — „ლაციო" (იტალია) 0-0
„ბაიერი" (გერმანია) — „ეინდჰოვენი" (ჰოლანდია) 5-4
„ბოავიშტა" (პორტუგალია) — „მიუპა-47" (ფინეთი) 2-1
„ადმირა-ვაკერი" (ავსტრია) — „გურნიკი" (პოლონეთი) 5-2
„როტორი" (ვოლგოგრადი) — „ნანტი" (საფრანგეთი) 3-2
„ნაპოლი" (იტალია) — „სკონტო" (ლატვია) 2-0
„სლოვანი" (სლოვაკეთი) — „კოპენჰაგენი" (დანია) 1-0
„ტრაბზონსპორი" (თურქეთი) — „დინამო" (ბუქარესტი, რუმინეთი) 2-1
„რეალი" (ესპანეთი) — „სპორტინგი" (პორტუგალია) 1-0
„კანი" (საფრანგეთი) — „ფენერბახჩე" (თურქეთი) 4-0
„რაპიდი" (რუმინეთი) — „შარლერუა" (ბელგია) 2-0
„ბორუსია" (გერმანია) — „მოზერუელი" (შოტლანდია) 1-0
„ბორდო" (საფრანგეთი) — „ლილესტრიომი" (ნორვეგია) 3-1
„ბლეკბერნ როვერსი" (ინგლისი) — „ტრელბორგსი" (შვეცია) 0-1
„ტექსტილშჩიკი" (რუსეთი) — „ბეკეშჩაბა" (უნგრეთი) 6-1

## კიდევ ერთი «ოცნების გუნდი»

18 წლამდე ასაკის კალათბურთელთა პანამერიკული ტურნირი, რომელიც არგენტინის ორ ქალაქში მიმდინარეობდა (სანტა-როსა, ჰენერალ-ჰიკო), მოიგო აშშ-ს „ოცნების გუნდმა". ამერიკელებმა დამაჯერებლად გაიმარჯვეს ყველა რვა შეხვედრაში, ფინალში კი არგენტინის ნაკრებს აჯობეს.

მწვრთნელმა კემ ჰაკსონმა, რომელიც მინესოტის უნივერსიტეტის გუნდს ავარჯიშებს, ნაკრებში მიიწვია ათი სხვადასხვა კოლეჯის წარმომადგენლები, მათ შორის განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი შარეფ აბდურ-რაჰიმმა (206 სმ) და სტეფან მარბურმა (186 სმ). სპეციალისტთა აზრით, სულ მალე ეს კალათბურთელები სათქმელს ნბა-შიც იტყვიან.

მეორე ადგილი ტურნირში აშშ-სთან ერთი წაგებით არგენტინელებმა დაიკავეს. მესამე ადგილი კი პუერტო-რიკოს გუნდს ერგო. სხვათა შორის, პუერტო რიკოელი ხესუს ნიევესი გათამაშების რეკორდსმენი გახდა სამქულიან სროლებში.

პანამერიკული ტურნირის ოთხი უძლიერესი ნაკრები (აშშ, არგენტინა, პუერტო-რიკო და ვენესუელა) გაისად იუნიორთა მსოფლიოს ჩემპიონატში ითამაშებენ. ასპარეზობა საბერძნეთში გაიმართება.

## მხოლოდ ტექნიკური შედეგები

**მძლეოსნობა.** ვინსჰოტენი (ჰოლანდია). ევროპის ჩემპიონატი ზემარათონში (100 კმ რბენაში). გუნდური შეჯიბრება. **ქალები.** რუსეთის ნაკრებმა აჯობა ყველა მეტოქეს, თანაც ვაჟებზე უკეთესი დრო აჩვენა. **ვაჟები:** 1. პოლონეთი, 2. რუსეთი, 3. საფრანგეთი. პირად პირველობაში ქალთა შორის გაიმარჯვა სვეტლანა ლიახოვამ (რუსეთი) — 7:36.39, ვაჟებში კი იაროსლავ იანიცკიმ (პოლონეთი) — 6:33.43.

●

**საწყლოსნო სახეობები.** რომი, მსოფლიოს ჩემპიონატი. წყალში ხტომა. ვაჟები.

1. დ. საუტინი (რუსეთი) — 634,71; 2. რუნ შუეეი (ჩინეთი) — 630,03; 3. ვ. ტიმოშინინი (რუსეთი) — 607,32. **სინქრონული ცურვა.** 1. ბ. ლანსერი (აშშ) — 191,040; 2. ფ. ოკუნო (იაპონია) — 187,306; 3. ლ. ალექსანდერი (კანადა) — 186,826. **წყალბურთი.** ქალები. ფინალი. უნგრეთი — ნიდერლანდები 7:5 (2:0, 1:3, 1:1, 3:1), მატჩი III ადგილისათვის. აშშ — იტალია 14:9 (5:3, 2:2, 5:3, 2:1).

●

**ფეხბურთი.** მადრასი (ინდოეთი). საერთაშორისო ტურნირი. ქალები. ფინალი. განა — რუსეთი 2:1.

●

**უშუ.** მიუნხენი. ევროპის ჩემპიონატი. გუნდური შედეგები. 1 რუსეთი (9 ოქროს, 11 ვერცხლის, 5 ბრინჯაოს მედალი ტაოლში და 4 ოქროს მედალი სანდაში).

●

**ფრენბურთი.** შანხაი. გრან-პრი. ქალები. ბრაზილია — კუბა 3:2.

●

**კალათბურთი.** ევროტურნირები. ვაჟები. კორაჩის თასი. „სტროიტელი" (სამარა) — იმკა (ლახტი) 112:101 (62:43). ევროპის თასი. „ბონუსი" (რიგა) — „ავტოდოროჟნიკი" (სარატოვი) 95:79; დინამო (ბუქარესტი) — ცსკა 64:92 (25:56).

## სპორტული ტელეეკრანი

**„ოსტანკინო"**

**23 სექტემბერი. 17.35.** მსოფლიო ჩემპიონატი წრიულ მოტორბოლაში.

**25 სექტემბერი. 8.15.** ოლიმპიური დილა. **8.50.** სპორტლოტო. **22.50.** სპორტული უიქ-ენდი.

**„როსია"**

**23 სექტემბერი. 18.30, 23.35.** დევისის თასის გათამაშება ჩოგბურთში. **18.55, 20.25.** რუსეთის ჩემპიონატი ფეხბურთში: „დინამო" (მოსკოვი) — „სპარტაკი" (მოსკოვი). **23.30.** სპორტული კარუსელი.

**24 სექტემბერი. 16.10.** ფეხბურთი უსაზღვრებოდ. **19.10.** დევისის თასის გათამაშება ჩოგბურთში. **23.30.** სპორტული კარუსელი.

**25. სექტემბერი. 15.50.** მსოფლიო ჩემპიონატი ავტორბოლაში, „ფორმულა-1". **19.10.** დევისის თასის გათამაშება ჩოგბურთში. **23.30.** სპორტული კარუსელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### მარგარიტა ტატიშვილი



იმ ადამიანთა რიგებს, რომლებმაც სამარადისო კვალი დატოვეს ქართული სპორტის ისტორიაში, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გამოაკლდა აღიარებული სპეციალისტი, ყოფილი საბჭოთა კავშირისა და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ცურვაში მარგარიტა ტატიშვილი.

მ. ტატიშვილის მთელი ცხოვრება სპორტთან იყო დაკავშირებული. ომის შემდგომი წლების გამორჩეულმა მოცურავემ არაერთხელ მოიპოვა საქართველოს ჩემპიონის ტიტული, ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ კი მწვრთნელად დაიწყო მუშაობა. უშუალოდ მისი ხელმძღვანელობით ჩვენში მოცურავეთა მთელი თაობები აღიზარდა. მისმა შეგირდმა თინათინ ლეკვეიშვილმა საქართველოს მოცურავე ქალთაგან პირველმა მოიპოვა ევროპის ჩემპიონისა და რეკორდსმენის ტიტული, პირველმა მიიღო მონაწილეობა ოლიმპიურ თამაშებში (რომში). მ. ტატიშვილმა აღზარდა საქართველოს, საბჭოთა კავშირის, ევროპის ჩემპიონები და რეკორდსმენები. წლების განმავლობაში მუშაობდა საქართველოსა და საბჭოთა კავშირის მოცურავეთა ნაკრებ გუნდებთან. დიდხანს წარმატებით უძღვებოდა აგრეთვე საქართველოს სპორტკომიტეტის უმაღლესი სპორტული დაოსტატების ცურვის სპორტსკოლას, ხოლო ამ სკოლის წყალთა სახეობების სპორტულ სკოლად გადაკეთების შემდეგ იქვე სასწავლო ნაწილის გამგედ მუშაობდა.

შესანიშნავი სპეციალისტის, საუკეთესო ადამიანური ღირსებებით შემკული პიროვნების მ. ტატიშვილის ხსოვნა მუდამ დარჩება აღზრდილებისა და კოლეგების გულებში, მისი დამსახურება არასოდეს წაიშლება ქართული სპორტის ისტორიიდან.

საქართველოს სპორტის დეპარტამენტი,
წყალთა სახეობების საქართველოს კონფედერაცია.

### მსოფლიოს რეკორდი

იტალიაში მოცურავეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე კიდევ ერთი შესანიშნავი შედეგია ნაჩვენები. ოლიმპიურმა ჩემპიონმა კაირინ პერკინსმა (ავსტრალია) 400 მეტრი თავისუფალი სტილით 3,43, 80-ში გაცურა. ეს შედეგი ახალი მსოფლიოს რეკორდია, ძველი ეკუთვნოდა ევგენი სალოვის (რუსეთი) და უდრიდა 3.45.00.

პერკინსმა, ბუნებრივია, ჩემპიონის ოქროს მედალიც დაისაკუთრა ამ სახეობაში. ვერცხლი და ბრინჯაო შესაბამისად მიიღეს ანტი კასვიომ (ფინეთი) და დანიონ ლოულერმა (ახალი ზელანდია).

საქართველოს რესპუბლიკური ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი „დინამო" ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის ყოფილი მოთამაშე, 1952 წლის ოლიმპიური თამაშების მონაწილე, სპორტის ოსტატი, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის დოცენტი

ავთანდილ
ნოეს ძე ჩქუასელი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი „დინამო" ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა დამსახურებული მწვრთნელი ცურვაში

მარგარიტა ტატიშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

## თუ ბობი ფიშერი ალაპარაკდა...

(დასაწყისი 1-ლ გვერდზე)

ვსე. იგი ამბობს, რომ ჩემს მიერ შექმნილი საჭადრაკო საათის იდეა იაპონელებს მოვპარე, რომლებიც ამგვარ საათებს გოს თამაშის დროს იყენებენ. სინამდვილეში ის იაპონური საათი სრულიად სხვანაირია. „არ ვიცი, კარგია თუ ცუდი ეს საათი გოს თამაშის დროს, — თქვა კასპაროვმა, — მაგრამ ჭადრაკისთვის აშკარად ცუდია, ასეთი საათით ჭადრაკის თამაში უფრო უარესია, ვიდრე ჩვეულებრივით".

— როდესაც კასპაროვის დაწინაურება დაიწყო ჭადრაკში, საბჭოთა ხელისუფლებმა მას ჩემი შექება უბრძანეს. — იმ წლებში მე არ ვთამაშობდი, ვინაიდან მსოფლიო ებრაელობამ შავ სიაში შემიტანა. სტრატეგია იმაში მდგომარეობდა, რომ კასპაროვისთვის კეთილისმსურველი პიროვნების იმიჯი შეექმნათ, კარპოვისგან საწინააღმდეგოდ ამით ნიადაგი იქმნებოდა მომავალი მოლაპარაკებითი მატჩებისთვის, აქ კარპოვს წინასწარ განეკუთვნა საბჭოთა კონსერვატორის როლი, ხოლო კასპაროვს — რეფორმატორისა, .იგი ღირსეული ახალგაზრდის, სისტემასთან მებრძოლის როლში უნდა გამოსულიყო. ახლა, როდესაც მე კვლავ დავიწყე თამაში, მათ სტრატეგიის შეცვლა მოუხდათ, საბჭოთა ხელისუფლებმა კასპაროვს უბრძანეს თავს დამესხას.

— რუსეთში სინამდვილეში ადრინდელი საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკას აგრძელებენ, მოსკოვის რადიოს გადაცემები ისეთივე ცრუ და ტენდენციურია. ადრე ისინი თავიანთ ძლიერებაზე ლაპარაკობდნენ და მთელ მსოფლიოს ემუქრებოდნენ, ახლა კი ახალი ფოკუსი გამოიგონეს: სიღარიბეს უჩივიან, იმედი აქვთ, რომ მილიონობით დოლარს მოუყრიან თავს. ორიოდე წლის წინათ გერმანიაში ვიყავი. იქ ტელემარათონი მოაწყეს საბჭოელებისთვის ფულის მოსაგროვებლად, თავი მოუყარეს როკ-მუსიკის საუკეთესო გერმანელ შემსრულებლებს, გერმანელები მათ სასურსათო ამანათებს უგზავნიდნენ.

კითხვაზე, სად ინახავს სადებიუტო იდეების ჩანაწერებს, ფიშერმა ასე უპასუხა:

— თავში. ჩანაწერებს არ ვაწარმოებ, რადგან შპიონაჟს ვუფრთხი.

— თუკი კასპაროვთან მატჩს ვითამაშებ, პირობებს მთლიანად მე ვუკარნახებ. მაგრამ ეს პატიოსანი პირობები იქნება, იმიტომ, რომ მე პატიოსანი კაცი ვარ. ორიოდე წლის წინ კასპაროვმა წერილი მომწერა, რომელსაც ხელი მოაწერა როგორც ჩემმა „თანაჩემპიონმა". იგი ჩემი თანაჩემპიონი კი არ არის, არამედ დამნაშავეა, რომელიც ციხეში უნდა იჯდეს. მაგრამ ამის მიუხედავად, თუკი იგი ყველა ჩემს პირობას მიიღებს და რუსებიც ვალს დამიბრუნებენ, მაშინ კიდევ შეიძლება საქმის განხილვა.

არ არის სწორი, თითქოს ამ 20 წლის განმავლობაში ჭადრაკს არ ვთამაშობდი, უბრალოდ, ჩემთან არავინ თამაშობდა. მოხარული ვარ, რომ კვლავ ვთამაშობ. შესაძლოა მე და ბორის სპასკი კვლავ შევხვდეთ ერთმანეთს. თუკი კასპაროვმა და კარპოვმა ერთმანეთში ხუთი მოლაპარაკებული მატჩი ითამაშეს, რატომ არ შეიძლება მე და ბორისი ორსამ ნამდვილ ასპარეზობაში შევხვდეთ ერთმანეთს?

მოამზადა
ბივი გამრეკელმა

გაზეთის დღევანდელი ნომერი აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ „ლელოს" სამგიდო-კომპიუტერული სისტემით.
ხელმძღვანელი: გ. სიმონიშვილი.
შემსრულებლები: ი. სიდამონიძე, მ. წოწორია.

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380096, მ. კოსტავას, 14. ტელეფონი 99-56-14, 99-56-47. ინდექსი 66435 INDEX. დაიბეჭდა გამომცემლობა „სამშობლოში"